

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმადაც „ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან“. ამასთანავე, პროექტის ინიცირების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც გადასახადებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი.

კანონპროექტის მიზანია საქართველოს საპატრიარქოსათვის საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთების, ნედლეულისა, თუ სხვა მასალის წარმოების, მიწოდების, მშენებლობისა და იმპორტირებისათვის საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის არსი.

კანონპროექტის არსი მდგომარეობს საქართველოს საპატრიარქოს მიერ საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთების და საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციისთვის საჭირო მასალების, აპარატურისა და ნედლეულის მიწოდების ან/და იმპორტის; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ეკლესია-მონასტრებისა და საეკლესიო ნაგებობების მშენებლობის, რესტავრაციის, პროექტირების და მოხატვის, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულების დღგ-ს და საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებაში, საქართველოს საპატრიარქოს მიერ საეკლესიო მიზნებისათვის საღვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინის დამზადების და/ან მიწოდების და/ან იმპორტის აქციზისაგან გათავისუფლებაში, სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საკუთრებაში არსებული ქონებისა და მიწის (თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის) ქონების გადასახადისგან გათავისუფლებაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგანაც კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ეკლესია უკვე სარგებლობდა აღნიშნული უფლებებით და გათავისუფლებული იყო დღგ-ს, საბაჟო, აქციზისა და ქონების გადასახადებისაგან.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება, რადგანაც კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ეკლესია უკვე სარგებლობდა აღნიშნული უფლებებით (გათავისუფლებული იყო დღგ-ს, საბაჟო, აქციზისა და ქონების გადასახადებისაგან). კანონპროექტის მიღებით ეკლესიის ეს კონსტიტუციური უფლება აისახება საგადასახადო კოდექსშიც.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს ასეთი შეფასება არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ფრიდონ რუხაია.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის წევრი ფრიდონ რუხაია.